ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3318325

ნომერი: AR1480418

თარიღი : 21.02.2017

გაცემის თარიღი : 13.06.2017

გაცნობის თარიღი : 13.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბეთლემი , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაღრაძე პ/ნ 01016007975
- თბილისი ფონიჭალა 3 კორ. 29 ბ. 1

ორგანიზაცია:

- ააიპ "თბილისის განვითარების ფონდი" კოდი: 404384974

ნომენკლატურა :

- თბილისის განვითარების ფონდი
- აშენებული არქიტექტურული ობიექტები

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდი"–ს მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. N24-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 21 თებერვალს N AR1480418 განაცხადით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდმა" და მოითხოვა ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. N24-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმება. განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ (სხდომის ოქმი N19, 11.05.2017წ.), რომლის დასკვნის საფუძველზე მიეცა დადებითი შეფასება.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 05 დეკემბრის N16-36 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესი არეგულირებს სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების საკითხს, როდესაც "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24–ე მუხლის 23–ე და 24–ე პუნქტებით გათვალისწინებულ სამშენებლო საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამავე წესის თანახმად, იმ განსაკუთრებული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან/და ქვეყნისათვის სოციალური ან/და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შენობების მშენებლობა, რომელიც დაკავშირებულია შემჭიდროვებულ ვადებთან ან/და გადაუდებელ აუცილებლობასთან, შესაძლებელია განხორციელდეს შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური უფლებამოსილია სამშენებლო დოკუმენტაცია შეითანხმოს უკვე ნაწარმოებ სამშენებლო სამუშაოებზე. აღნიშნული წესის თანახმად და ვინაიდან სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდი" სამშენებლო დოკუმენტაციას (განმარტებითი ბარათი, ესკიზური პროექტი) ითანხმებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური. სამსახურმა განიხილა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი შესაბამისი დასაბუთებით, შენობა–ნაგებობის ესკიზური პროექტი და დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ობიექტზე სამუშაოები განხორციელებულია წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შესაბამისად.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდი"–ს მიერ 2017 წლის 21 თებერვალს N AR1480418 განცხადებით წარმოდგენილი ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. N24-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის სამშენებლო დოკუმენტაცია.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.